საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/11/2025

MES 4 25 0001611517

გადაწყვეტილება

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პრგრამას

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 იანვრის №21641 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

2.2. "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შესახებ - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის № 884851 ბრძანების შესაბამისად, აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფმა შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამა.

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 31 ოქტომბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული მოსაზრებები. საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მედიახელოვნება/ციფრული მედიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 14 ნოემბრის № 1611454 სხდომის ოქმის №04 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 14 ნოემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II

შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე